ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№34

ქ. თბილისი; 7 დეკემბერი 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ქეთევან მამულაშვილი
წინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ბაჩო აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ზაზა ცინაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - წინო კვეტენაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. “ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი:N01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. “ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №76-84-ის მიმდებარედ 708 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.14.11.025.016) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „როსტიჩერია ვივასთვის“ (ს/ნ: 405232733) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. “ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მანიასთვის" (ს/ნ: 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პასტორალისთვის“ (ს/ნ: 404432716) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: № 01.18.03.045.019) 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა“-სთვის (ს/ნ: 404433029) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/ კ: № 01.10.15.010.022) პირდაპირი განკარგვის წესით მზია ბიწაძისთვის (პ/ნ: 01024036486) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი:№01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია“-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.13.012.030) პირდაპირი განკარგვის წესით თამარ შეითნიშვილისთვის (პ/ნ: 01005002157) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტ-მონტესთვის” (ს/ნ: 406159151) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 193 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარი-სთვის“ (ს/ნ: 419621341) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთნხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. "ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის'' (ს/ნ: 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/ნ: 202911055) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: N 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.11.036.011) პირდაპირი განკარგვის წესით მაია ჩავლეიშვილისთვის (პ/ნ 01021017124) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, ქიხძარაულის ქუჩა N15-ის ძიძდებაედ არსებლი 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/ლ: N01.19.33.001.264)პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე“-სთვის (ს/ნ: 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.

27. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანი“-სთვის (ს/ნ: 405241563) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

29. „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.11.031.048) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპე"-სთვის (ს/კ: 205178635) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. "ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ: 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის №40.16.786 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. "ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.075.025), ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუციბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბაჩო აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 4 მაისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 135^2, 135^3 და 135^4 მუხლები, რომელთა მიხედვითაც, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სატვირთო ავტომობილის მოძრაობა ან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის, სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდება/ტრანსპორტირება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების გაჩერების ადგილების გარდა, სხვა ადგილებზე გაჩერება, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება გამოიწვევს სამართალდამრღვევ პირებზე ჯარიმების დაკისრებას სხვადასხვა ოდენობით. ასევე დასძინა, რომ აღნიშნულ მუხლებზე საჯარიმო ქვითრების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა წარმოდგენილი პროექტის მიღების საჭიროება, რაც ითვალისწინებს, ხსენებული ნორმებით დადგენილი სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილების მინიჭებას ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის და შესაბამისი სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცებას. ასევე დაამატა, რომ პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

ამასთან, ბაჩო აბულაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროექტზე თანდართული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი“ განსაზღვრას შემდეგ საკითხებს:

- საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ საჯარო მოსამსახურეებს;
- საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და მისი შევსების წესს;
- ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსს და მისი შევსების წესს;
- საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველს;
- საჯარიმო ქვითრებით - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგების წესს;
- საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემისა და დაბრუნების წესს;
- აღრიცხვის ჟურნალის გაფორმებისა და შენახვისადმი არსებულ მოთხოვნებს, მათი შენახვისა და ჩამოწერის წესებს;
- წესი ასევე განსაზღვრავს, ჯარიმის გადახდის, საურავის დარიცხვის, სააღსრულებო ფურცლის გამოწერის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების წესს.

ბატონმა ბაჩო აბულაძემ მოხსენების დასასრულისკენ დაამატა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის აღსრულება საჭიროებს შესაბამის ფინანსურ რესურსს, თუმცა მოცემულ ეტაპზე აღნიშნული რესურსის ოდენობის მითითება შეუძლებელია.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- დადგენილების პროექტზე თანდართული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[2] მუხლით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით და 135[4] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვვათა კოდექსის 135[2] და 135[4] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას, საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების წესს, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. კერძოდ,მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტიდან და მე-3 მუხლის მე-

10 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას მითითება ავტობუსის მარშრუტის ნომერზე, რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში ავტობუსები არ წარმოადგენენ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 და 135^4 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სუბიექტებს.

- ასევე დაამატა, რომ ანალოგიური ხასიათის ხარვეზი უნდა გასწორდეს, დადგენილების პროექტზე თანდართული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის“ დანართი N1-სა და დანართი N3-ში, რომლებიც ამტკიცებენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 და 135^4 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას და აღნიშნული დანართების მე-4 პუნქტიდან, ასევე ამოღებული უნდა იქნას მითითება ავტობუსის მარშრუტის ნომერზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ შენიშვნებს ეთანხმება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბაჩო აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა წარმოდგენილი პროექტის განმაპირობებელ მიზეზად მიუთითა, დედაქალაქის მასშტაბით, ტაქსების რეგულაციის ხელშეწყობა, მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით გადაყვანაზე ნებართვის მფლობელების არასახარბიელო სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მათთვის საფასურის გადახდის გარეშე, პარკირების ადგილების შექმნა. აგრეთვე დაამატა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ტაქსების დგომისთვის

სპეციალური პარკირების ადგილები, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის განტვირთვას, აგრეთვე ტაქსით მომსახურების მიღება, მეტად კომფორტული იქნება როგორც დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის, რომლებისთვისაც წინასწარ იქნება ცნობილი ტაქსების გაჩერების ადგილები.

მომხსენებელმა ხაზგასმით განმარტა, რომ ცვლილებას განიცდის „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილება შემდეგი სახით:

- აღნიშნულ დადგენილებას ემატება 3[1] მუხლი, რომლის თანახმად, მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის მფლობელი, ხოლო 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან „A” კატეგორიის ნებართვის მფლობელი თავისუფლდება პარკირების საფასურის გადახდისგან, მხოლოდ ტაქსისთვის განკუთვნილ სპეციალური პარკირების ადგილზე პარკირებისას;
- აგრეთვე დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და ნებართვის მქონე ტაქსის ხოლო 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვის მქონე ტაქსის, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების და ტურისტული მარშრუტებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს სპეციალური პარკირების ადგილები და პირობები;
- აგრეთვე ცვლილება შედის ამავე წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტში, რომლის თანახმად, მსგავსად ელექტრომძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია, მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M_1 კატეგორია) პარკირების საფასურის გადასახადისგან განთავისუფლებას უზრუნველყოფს პარკირების ოპერატორი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბაჩო აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 135-ე მუხლითა და 135^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა ბაჩო აბულაძემ ყურადღება გაამახვილა, 2018 წლის 4 მაისს, საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იმ განხორციელებულ ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც, კოდექსს დაემატა 135^2, 135^3,135^4 მუხლები და განსაზღვრა შემდეგი საკითხები:

- დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სატვირთო ავტომობილის მოძრაობა ან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის, საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდება/ტრანსპორტირება დედაქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დედაქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ გზებზე დადგენილი ავტობუსების გაჩერების ადგილების გარდა სხვა ადგილებზე გაჩერება, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება გამოიწვევს სამართალდამრღვევ პირებზე ჯარიმების დაკისრებას სხვადასხვა ოდენობით.
- ამავე კოდექსის 209^3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ამ კოდექსის 135^2 მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ჯარიმის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.

ამასთან დაამატა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის N15-30 დადგენილების სათაური და ამავე დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბაჩო აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ 2018 წლის 27 ივლისს მიღებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№24-80** დადგენილების მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის უნდა წარმოედგინა ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ წესში ცვლილების პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს ახალ ან/და დამატებით სანებართვო პირობებს, მათ შორის:

ა) აკრძალვას მარჯვენასაჭიან და სამკარიან სატრანსპორტო საშუალებებზე მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანის ნებართვის გაცემის შესახებ;
ბ) აკრძალვას შესაბამისი ფერისა და ვიზუალის გარდა სხვა ფერისა და ვიზუალის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით გადაყვანის ნებართვის გაცემის შესახებ;

გ) ავტომობილებზე ვიზუალური კუთხით ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი საშუალების არსებობის და ასეთის არ არსებობის შემთხვევებისათვის.

ბაჩო აბულაძემ განმარტა, რომ ზემომითითებულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავების საკითხი, რომელიც გაითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებულ წესში შემდეგი ცვლილებების და დამატებების შეტანა:

1. შემოდის „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების ცნებები, რომელთა მიხედვით „A“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელსაც სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა იმ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით, რომელიც არის თეთრი ფერის, წესის დანართი 2-ით დადგენილი ვიზუალის მქონეა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ და აქვს 5 კარი, ხოლო „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელსაც სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა იმ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით, რომელსაც საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ და აქვს 5 კარი.

2. ნებართვის გაცემის შემდეგ ნებართვის მფლობელს ნებართვის გამცემის მიერ გადაეცემა ტაქსის აღმნიშვნელი თეთრი ფერის ერთი მანათობელი ნიშანი მასზე დატანილი წარწერით „TAXI თბილისი“.

3. „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების მფლობელებს უდგინდებათ განსხვავებული სანებართვო პირობები. კერძოდ:

„A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა „A“ კატეგორიის ნებართვაში მითითებული მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით;

ბ) მომსახურების გაწევისას გამოიყენოს მხოლოდ ის მანათობელი ნიშანი, რომელიც გადაეცა ნებართვის გამცემის მიერ და იქონიოს ის თავდაპირველი ფორმით;

გ) მომსახურების გაწევისას მანათობელი ნიშანი განათავსოს სატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილის (სახურავის) შუა ადგილზე;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე ამ წესის დანართი 2-ით და დანართი 3-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა მსუბუქ ავტომობილზე – ტაქსზე არ ჰქონდეს სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (მათ შორის მუნიციპალიტეტის, ქალაქის, რაიონის, ქუჩის აღმნიშვნელი და სხვა);

ე) უზრუნველყოს ნებართვის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

ვ) რეკლამა განათავსოს ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად განსაზღვრულ ადგილებზე;

„B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა „B“ კატეგორიის ნებართვაში მითითებული მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით;

ბ) უზრუნველყოს ნებართვის განთავსება სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა მგზავრის მიერ;

გ) არ დაუშვას მგზავრის ქუჩიდან აყვანა.

4. წესს ემატება ქვეპუნქტი, რაც გამოიწვია „A“ და „B“ კატეგორიების ნებართვების ცნებების შემოღებამ და მის მიხედვით ნებართვის მფლობელს უფლება აქვს სხვა კატეგორიის ნებართვა აიღოს გაცემული ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით (წინა კატეგორიის ნებართვის გაცემისას გადახდილი ფასის ფარგლებში) იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ნებართვის გამცემის უფლება-მოვალეობებს ემატება ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით იგი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს აეროპორტთან, სადგურებთან და სავაჭრო ცენტრებთან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, მსუბუქი ავტომობილის-ტაქსის გასაჩერებელი ადგილით, მხოლოდ „A“ კატეგორიის ნებართვების მფლობელებისთვის.

6. გარდა ზემოაღნიშნულისა, წესს ემატება 3 დანართი, რომლებითაც ხდება ავტომობილის ვიზუალის დადგენა და ავტომობილზე რეკლამის ადგილების განსაზღვრა, ასევე ნებართვის გაცემის შემდეგ ნებართვის მფლობელზე გადასაცემი ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ფორმა.

მოხსენების დასასრულისაკენ ბატონმა ბაჩომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- დადგენილების პროექტით წარმოდგენილი მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ფორმულირება უნდა დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ. უზრუნველყოს მხოლოდ იმ მგზავრის აყვანა, რომლის მომსახურების მიზნით მივიდა გამოძახების ადგილზე.“

- მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნას და აღნიშნული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანართები დანართის სახით დაერთოს წესს.

კომისიის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებულ წინადადებებს დაეთანხმა საკითხის მომხსენებელი. ამასთან, ბატონმა ბაჩო აბულაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, წესს დაემატოს შესაბამისი დანართი, რომლითაც განისაზღვრება რეკლამის განთავსების ადგილი სატრანსპორტო საშუალების უკანა საქარე მინაზე, რასაც დაეთანხმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ, მომხსენებლის მისამართით დასვა შეკითხვა, თუ რამდენად უსაფრთხოა, სატრანსპორტო საშუალების უკანა საქარე მინაზე მძღოლის მიერ რეკლამის განთავსება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით ამკრძალავი ხასიათის ნორმას, შესაბამისად, მძღოლს შეუძლია, იმგვარად განახორციელოს სატრანსპორტო საშუალების უკანა საქარე მინაზე რეკლამის განთავსება, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი საავტომობილო გზებზე მოძრაობის პროცესში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუს N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუსი N29-ში მდებარე ფართის საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე იოსებ ციცქიშვილისთვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ამასთან, ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის 2018 წლის 6 თებერვლის და 2018 წლის 25 თებერვლის, აგრეთვე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2018 წლის 16 აპრილის წერილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას შემდეგი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი,118[1] მუხლის მე-3 პუნქტი;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, აგრეთვე, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა შემდეგ შენიშვნებზე:

- სასურველია, წარმოდგენილი პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  „ქ. თბილისში, ჯავახეთის ქ. N29-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.
- ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, სიმბოლური თანხა 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი:N01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართ N1-ში მითითებული 4 (ოთხი) მოქალაქისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძემ ისაუბრა მოცემული საკითხის გარშემო და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის შუამდგომლობები - ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. აგრეთვე დაამატა, რომ ჩუღურეთის რაიონის შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართში N1-ში მითითებული შემდეგი პირებისათვის სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობის სანაცვლოდ საკუთრებაში გადაცემა:

1. ნინო ანგელოვა (პ.ნ: 01019062145) - პირველი სართული, 43,28კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.16.08.004.068.01.503;
2. ნაირა თანდაშვილი (პ.ნ: 01020000689) - პირველი სართული, 38,49კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.16.08.004.068.01.501 და მე-2 სართული, 64,59კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.16.08.004.068.01.502;
3. სამსონ თეთრაძე (პ.ნ: 01004012253) - მე-2 სართული, 73,28კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.16.08.004.068.01.505;
4. ეთერ წიკლაური (პ.ნ: 01034005176) - პირველი სართული, 71,90 კვ.მ. საკადასტრო კოდი: 01.16.08.004.068.01.504;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საფასური სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N15-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (დაახლოებით 15 წელი) ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძემ განავრცო საკითხი და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მერიასა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილებით, ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N15-ში მდებარე უძრავი ქონების შემდეგი პირებისთვის - ჯემალ დოლიძე, პაატა დოლიძე და დავით დოლიძე საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ამასთან, აღნიშნული წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირებისთვის გადაცემა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური მიეთითოს შემდეგნაირად: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №76-84-ის მიმდებარედ 708

კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: № 01.14.11.025.016) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „როსტიჩერია ვივასთვის“ (ს/ნ: 405232733) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „როსტიჩერია ვივას“ წარმომადგენელმა და ითხოვა, ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა №76-84-ის მიმდებარედ 708 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია, ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №80-ში მიმდებარე უძრავი ქონება 2019 წლის 11 ოქტომბრამდე ვადით.

მომხსენებელმა ისაუბრა სხვა დეტალებზეც და მიუთითა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობის მიზნით საჩრდილობლის და ბაქანის მოწყობა, იმ პირობით თუ დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ხოლო, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს სამსახურის მხრიდან წერილობით დასტურს ან მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „როსტიჩერია ვივასთვის“ გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 11 ოქტომბრამდე ვადით.
- საიჯარო ქირის ოდენობად, წარმოდგენილია წლიური 1 600 (ათას ექვსასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 584 (ათას ხუთას ოთხმოცდაოთხი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ ყურადღება გაამახვილა საკითხის ირგვლივ არსებულ შემდეგ დეტალებზე: სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „სამშობლოსთვის" წარმომადგენელმა და ითხოვა, ქ. თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა პანდუსის მოსაწყობად, 10 (ათი) წლის ვადით. ამასთან, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული, ქ. თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა №10/მუხიანის დასახლება ბენზინგასამართ „ვისოლის" მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებულ 29 კვ.მ მიწის ნაკვეთზე პანდუსის მოწყობა. ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „სამშობლოსთვის" გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლის ვადით.
- საიჯარო ქირის ოდენობად წარმოდგენილია წლიური 3 500 (სამი ათას ხუთასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული 29 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 480 (სამი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ამასთან, ნინო კვეტენაძემ ისაუბა საკითხის გარშემო არსებულ შემდეგ დეტალებზე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქე ზუხრა ტატიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული რეგისტრირებული 4061 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 5 კვ. მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 5 (ხუთი) წლის ვადით. ასევე, აღნიშნული პირის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. № 42-ში მდებარე უძრავი ქონება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ზუხრა ტატიშვილისთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასურად წარმოდგენილია 900 (ცხრაასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 14 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 900 (ცხრაასი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მანიასთვის" (ს/ნ: 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ ისაუბრა დეტალებზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა შპს „სვით მანია“-მ და ითხოვა ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადმოცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნულ კომპანიას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს, კერძო პირის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კორპუს N46-ში მდებარე, 73,60 კვ.მ. უძრავი ქონება 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხსენებელმა განავრცო საკითხი და მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ წარდგენილი ორთოფოტოს მიხედვით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, საყვავილეებისა და პოდიუმის მოწყობა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით. ასევე დაამატა, რომ აღნიშნული სამსახურის პოზიციით, მაგიდებისა და სკამების განთავსება ნებართვას არ საჭიროებს, საჩრდილობლის და სკამის დიზაინი დასახვეწია.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული ქონების შპს „სვით მანია“-სთვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2023 წლის 31 დეკემბრამდე;
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრა - 1750 (ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც, 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1728 (ათას შვიდას ოცდარვა) ლარის ოდენობით).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, დაკორექტირდეს განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი და ქალაქ თბილისის მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N18.877.1273 განკარგულების სათაური სწორი რედაქციით მიეთითოს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ

თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურით - 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას.

ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი მეტად მნიშვნელოვანია დაინტერესებული საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე და დეტალურად ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- ამხანაგობის „დიდუბის III შესახვევი N27" თავმჯდომარემ განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და ითხოვა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ. N5-ში მდებარე 386 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, დედაქალაქის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი N11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა.
- ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სამშენებლო პროექტის შეთანხმების და საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შემდგომ, ტერიტორიაზე გათვალისწინებული მშენებლობა გააპროტესტეს მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებმა და მათი ადმინისტრაციული საჩივრების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეაჩერა მშენებლობის ნებართვა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, ამხანაგობას შესთავაზეს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, რაზედაც ამხანაგობამ თანხმობა განაცხადა, იმ პირობით, თუ მოხდებოდა სამშენებლო პროექტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაც.
- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის წერილი, სადაც გამგეობა აღნიშნავს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა წინააღმდეგია, ქალაქ თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ. N5-ში მდებარე 386 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით და სურთ ამ ნაკვეთზე საზოგადოებრივი სივრცის - სკვერის ან ბაღის მოწყობა, რაზედაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ მზადყოფნა გამოთქვა, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში, დააფინანსოს შესაბამისი სამუშაოები.

- სანაცვლოდ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია N01.17.01.101.008 საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს მშენებლობა, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატების გარეშე, ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის და საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობის შეთანხმების შემთხვევაში. ასევე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად იქნა მიჩნეული N01.10.08.006.627 საკადასტრო ერთეულის ამხანაგობისთვის გადაცემა.
- N01.17.01.101.008 საკადასტრო ერთეულზე სასტუმროს დაპროექტება, ასევე შესაძლებლად მიიჩნია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, მისი 2018 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით.
- ამხანაგობა „დიდუბის III შესახვევი #27"-ის თავმჯდომარემ ქ. თბილისის მერიაში წარმოადგინა მიწის ნაკვეთის საექსპერტო შეფასებები მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.13.05.008.013) საბაზრო ღირებულების და მასზე გაწეული ხარჯების შესახებ და ითხოვა მათი გათვალისწინება საკითხის განხილვისას.
- სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქალაქ თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ. N5-ში მდებარე 386 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 4 სექტემბრის მდგომარეობით, განისაზღვრა 388 137 ლარის (სამას ოთხმოცდარვა ათას ას ოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით;
- 2018 წლის 21 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის და შესაბამისი სხვა ხარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 56 047.17 (ორმოცდათექვსმეტი ათას ორმოცდაშვიდი) ლარი, დღგ-სა და სხვა ნორმატიული დანარიცხების გათვალისწინებით.
- 2018 წლის 29 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნით კი, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.13.05.008.013) საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მთლიანი საბაზრო საორიენტაციო ღირებულება 2018 წლის 29 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 19 000 (ცხრამეტი ათასი) ლარი;
- 2018 წლის 4 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით კი, ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი, N11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2018 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 310 110 (სამას ათი ათას ას ათი) ლარის ოდენობით.
- 2018 წლის 4 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. N8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2018 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 192 700 (ას ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა დასკვნის სახით დასძინა, რომ ამხანაგობის მიერ გაწეული ხარჯების გამოკლებით გაანგარიშებული თანხა, ვერ განიხილება საექსპერტო შეფასებებით დადგენილ, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის გამოვლენილი სხვაობის არანაკლებ

ოდენობად, მაგრამ ამხანაგობის მდგომარეობის და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ქ. თბილისის მთავრობამ და ქ. თბილისის საკრებულომ საკითხი განიხილონ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში და საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის საკითხი განიხილონ ამ ხარჯის გამოკლებით, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მითითება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

  „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის მიხედვით".
- პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს, გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული, მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასური.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხი, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს, კიდევ ერთ დადებით ნაბიჯს ეკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე, დააკმაყოფილების ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესს და იქნება მასტიმულირებელი რგოლი ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობაში.

ასევე, მომხსენებელმა, დაამატა, რომ მოცემული საკითხის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტა, თავიდან ააცილებს დაინტერესებულ საზოგადოებას გრძელვადიან პროცესებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის" (ს/ნ: 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შპს „ო-ემ ჯგუფის" დირექტორმა და ითხოვა, ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვისიჯარის ფორმით გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნული კომპანიის დირექტორი, იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №18-ში მდებარე უძრავ ქონებას №2-ს 2019 წლის 22 თებერვლამდე.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობა, მოქმედი კანონმდებლობის დაცვის პირობით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება კი სამსახურის მხრიდან არ საჭიროებს წერილობით დასტურს ან მშენებლობის ნებართვის გაცემას. ასევე დასძინა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით შპს „ო-ემ ჯგუფის" გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 22 თებერვლამდე.
- საიჯარო ქირის წლიურ ოდენობად წარმოდგენილია - 600 (ექვსასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 4 ოქტომბრის მდგ, განისაზღვრა 576 ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე

რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პასტორალისთვის“ (ს/ნ: 404432716) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა შპს „პასტორალის“ დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, ხუთი წლის ვადით. ამასთან, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქ. №8-ში მდებარე ფართს 2023 წლის 01 ივნისამდე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა დადებითი შეფასება მიეცა მოცემულ საკითხს, შესაბამისი რეკომენდაციით. ასევე, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „პასტორალისთვის“ გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2023 წლის 1 ივნისამდე.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად წარმოდგენილი -15 900 (თხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც 66 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 15 840 (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: № 01.18.03.045.019) 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა“-სთვის (ს/ნ: 404433029) სარგებლობის

უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „კალა"-ს დირექტორმა და ითხოვა, ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა 2020 წლის 1 ივნისამდე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, კომპანია აღნიშნული ვადით იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქ. თბილისში, ერეკლე II-ის ქ. №8/10-ში მდებარე ფართს.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფეს მოწყობის მიზნით 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს შესაბამისი რეკომენდაციით. ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კალა"-სთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 ივნისამდე ვადით;
- საიჯარო ქირის წლიურ ოდენობად წარმოდგენილია-8 900 (რვა ათას ცხრაასი) ლარი. (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 8 880 (რვა ათას რვაას ოთხმოცი) ლარით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/ კ: № 01.10.15.010.022) პირდაპირი განკარგვის წესით მზია ბიწაძისთვის (პ/ნ: 01024036486) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მზია ბიწაძემ და ითხოვა, ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით. აგრეთვე დასძინა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი იჯარით იყო გადაცემული მზია ბიწაძეზე წლიური საიჯარო ქირით 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებული უძრავ ქონებას.

მომხსენებელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობის მიზნით საჩრდილობლის და ბაქნის მოწყობა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით, ხოლო, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს სამსახურის მხრიდან წერილობით დასტურს ან მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მზია ბიწაძისთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლის ვადით.
- საიჯარო ქირის წლიურ ოდენობად წარმოდგენილია - 6 000 (ექვსი ათასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული 28 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 032 (ოთხი ათას ოცდათორმეტი) ლარით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10 294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურით - 71 000 (სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძემ ისაუბრა საკითხის გარშემო არსებულ შემდეგ დეტალებზე:

- შპს „არმლენდერ ასოშიეიტსმა" განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებული 2 280 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლა, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10 294 კვ.მ. მიწის ნაკვეთში;
- 2 280 კვ.მ მიწის ნაკვეთი კომპანიას საკუთრებაში გადაეცა გარკვეული საპრივატიზებო პირობებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით. სანაცვლოდ, კომპანიამ ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა მიმდებარედ არსებული 3 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი.
- ერთ-ერთი საპრივატიზებო პირობა ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე ტურისტული სასტუმროს მშენებლობას გარკვეულ ვადაში, არანაკლებ 250 000 ლარის ინვესტიციის გახორციელების გზით. აღნიშნული პირობა ვერ შესრულდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან სამშენებლო საკითხების შეთანხმების მიუღწევლობის გამო.
- არაერთხელ გაპროტესტებულა კუს ტბის და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, სარეკრეაციო ზონად მიჩნევის გამო. კომპანიამ გაითვალისწინა საზოგადოების აზრი და ქ. თბილისის მერიას შესთავაზა, ვაკის პარკის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცედ განხილული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნებას.

ნინო კვეტენაძემ მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია და მიუთითა, რომ სარეკრეაციო სივრცეები და მათი განვითარება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დედაქალაქისთვის. ხოლო, კომპანიის წინადადება ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო სივრცედ შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან დასძინა, რომ მის ქ. თბილისის საკუთრებაში მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიც, ხოლო, სანაცვლოდ შერჩეული მიწის ნაკვეთების განკარგვა,

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ასევე აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის გადაცემა, მათი როგორც განაშენიანების არმქონე ტერიტორიების შემდგომი განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კომპანიას 2010 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე ნაკისრი აქვს სასტუმროს მშენებლობისა და ამ მიზნით არანაკლებ 250 000 ლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება. ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, გადაწყვეტილების ფარგლებში ხელმძღვანელობს საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ კომპანიას მოეხსნას საინვესტიციო ვალდებულება და ქ. თბილისის საკრებულოს წარმოუდგინოს გადაწყვეტილების მისაღებად.

ნინო კვეტენაძემ ასევე ისაუბრა საექსპერტო დაწესებულების მიერ, მიწის ნაკვეთების შეფასების შედეგად მიღებულ ფინანსურ მაჩვენებლებზე, კერძოდ:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 529 600 (ხუთი მილიონ ხუთას ოცდაცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით;
- ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10 294 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 527 053 (ხუთას ოცდაშვიდი ათას ორმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით.
- ხოლო, 2 280 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეფასდა 2 232 000 (ორი მილიონ ორას ოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარად და მიზანშეწონილია, საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნას მისი საბაზრო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, 2018 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით;
- ამასთან დაამატა, რომ მიწის ნაკვეთს საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 71 000 (სამოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- სასურველია განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

  „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. №34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არმლენდერ ასოშიეიტსს“ (ს/ნ: №204943357) შორის 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის გაუქმების თაობაზე“;

- წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

  „საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-5 მუხლის და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ ,იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი:№01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ა(ა)იპ-სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „აი ია"-სთვის, ქ. თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მერს და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა ა(ა)იპ „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „აი ია"-ს დირექტორმა და მოითხოვა ა(ა)იპ „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის ქ. თბილისში, დგებუაძის ქ. №1 მდებარე 376 კვ.მ ფართის, უსასყიდლოდ უზუფრუქტით, 10 (ათი) წლის ვადით გადაცემა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის

ვადაში არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

აგრეთვე მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში ა(ა)იპ „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია" განახორციელებს არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციას.
- უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.13.012.030) პირდაპირი განკარგვის წესით თამარ შეითნიშვილისთვის (პ/ნ: 01005002157) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ ისაუბა საკითხის გარშემო და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის N17.12.591 დადგენილების საფუძველზე, მოქალაქე თამარ შეითნიშვილს, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, გადაეცა ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარე არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, კიბის მოწყობის მიზნით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით. ასევე დაამატა, რომ აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ არ

სრულდებოდა აღნაგობის ქირის გადახდის ვალდებულება, შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 22 მაისის N№61.01181422 ბრძანების საფუძველზე, ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე შეწყდა აღნაგობის უფლება.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ მოქალაქე თამარ შეითნიშვილმა კვლავ მიმართა განცხადებით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N42-ის მიმდებარე არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადმოცემა კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიურ საფასურად წარმოდგენილია - 720 (შვიდას ოცი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 720 (შვიდას ოცი) ლარით).
- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 10 (ათი) წლით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტ-მონტესთვის" (ს/ნ: 406159151) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „არტ-მონტემ“ და ითხოვა ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარის ფორმით გადაცემა, 4 წლის

ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქ. თბილისში, ბამბის რიგის N12-ში მდებარე უძრავ ქონებას 2020 წლის 30 ნოემბრამდე.

მომხსენებელმა დაამატა, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ, სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან წერილობით ითხოვა, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით შესაბამისი პოზიციას გაცემა. ხოლო, სამსახურმა განმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „არტ-მონტე"-სთვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრა - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარი;
- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 2020 წლის 30 ნოემბრამდე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 193 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.026.024) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარი-სთვის" (ს/ნ: 419621341) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთნხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შპს „ბარმა" და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 193 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის

უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან დაამატა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ამასთან, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით შპს „ბარი-სთვის" გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 23 აგვისტომდე.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრა - 1 700 (ათას შვიდასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2018 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1620 (ათას ექვსას ოცი) ლარით.).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის'' (ს/ნ: 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა სს „ტერაბანკმა" და ითხოვა და ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, კიბისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

გადაადგილებისათვის პანდუსის მოწყობის მიზნით. ამასთან, დაამატა, რომ სს „ტერაბანკი“ სარგებლობის უფლებით ფლობს ვახტანგ გორგასლის N37-ში არსებული უძრავი ქონებიდან 126 კვ.მ ფართს 2027 წლის 1 მაისამდე.

ამასთან, მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აცნობა, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კიბისა და პანდუსის მოწყობაზე, წერილობითი დასტურის მოპოვების მიზნით, მოქალაქე გიორგი ანჯაფრიძის მიერ, სამსახურში წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, სამსახურის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ხარვეზები და ერთ-ერთ პუნქტად განისაზღვრა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობის წარდგენა.

ნინო კვეტენაძემ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სს „ტერაბანკი“-სთვის კიბისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისათვის პანდუსის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 10 (ათი) წლით.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრა - 1800 (ათას რვაასი) ლარი; (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2018 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, განისაზღვრა 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ასევე, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს სიტყვა „ქუჩა“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/წ: 202911055) სარგებლობის

უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „აჩის" დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარით გადაცემა ღია კაფეს მოსაწყობად. ამასთან დასძინა, რომ აღნიშნული პირის საკუთრებაშია გადასაცემი ფართის მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №43/გ. სუნდუკიანის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება.

მომხსენებლის მითითებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აჩი"-სთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.
- საიჯარო ქირის ოდენობად წარმოდგენილია წლიური 4 150 (ოთხი ათას ას ორმოცდაათი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 3 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 140 (ოთხი ათას ას ორმოცი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: N01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ზუხრა ტატიშვილმა და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან, აღნიშნული პირის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N47-ში მდებარე უქრავი ქონება.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციით, ღია კაფეს მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ მსუბუქი მაგიდებისა და სკამების განთავსებაზე. ამასთან დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის ზუხრა ტატიშვილისთვის იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლის ვადით.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად წარმოდგენილია 5 400 ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 22 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 5 400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარით).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.11.036.011) პირდაპირი განკარგვის წესით მაია ჩავლეიშვილისთვის (პ/ნ 01021017124) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიმართა მაია ჩავლეიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა დადებითად შეაფასა დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაზე კიბის უჯრედის მოწყობა, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მაია ჩავლეიშვილისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 10(ათი) წლის ვადით.
- საიჯარო ქირის წლიურ საფასურად წარმოდგენილია - 1 200 (ათას ორასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 13 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 1 200 (ათას ორასი) ლარით).

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე“-სთვის (ს/ნ: 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შპს „მოდინახემ" და ითხოვა ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა № 15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, ამასთან, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ში მდებარე უძრავი ქონება 2019 წლის 31 დეკემბრამდე ვადით;

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის მიზნით საყვავილეების განთავსება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით, ასევე, სამსახურის პოზიციით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას, თუმცა საჩრდილობლის და სკამების დიზაინი დასახვეწია. ასევე, დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „მოდინახე"-სთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა - 2019 წლის 31 დეკემბრამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასურად წარმოდგენილია - 2 850 (ორი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 832 (ორი ათას რვაასოცდათორმეტი) ლარით);

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, სასურველია წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანი"-სთვის (ს/ნ: 405241563) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანი"-სთვის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შპს „ბურგერ ბარ კომპანიმ" და ითხოვა ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი № 118-ში მდებარე უძრავი ქონება 2023 წლის 1 იანვრამდე ვადით;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის მიზნით საყვავილეების და მსუბუქი კონსტრუქციის (ხის) ბაქნის განთავსება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება კი არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ბურგერ ბარ კომპანი"-სთვის გადაცემა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა - 2023 წლის პირველ იანვრამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასურად წარმოდგენილია - 3750 (სამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 744 (სამი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარით).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის დანართის მე-4 პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„4. სარგებლობის საფასური გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.“

ნინო კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში მოსარგებლეთა მიერ შეტანილი განცხადებების სიხშირის გათვალისწინებით, რომლებიც ძირითადად გადაცემული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის ვადის გაზრდის თხოვნით არის მოტივირებული, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სააგენტოს გადაწყვეტილებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს საფასურის გადახდის პერიოდულობა, თუმცა აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული მოსარგებლეებს ხელს შეუწყობს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ახალი რედაქციით აყალიბებს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის დანართის მე-4 პუნქტს, მიეთითოს სარგებლობის

საფასურის გადახდის ვადის ათვლის წერტილი და მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.11.031.048) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპე"-სთვის (ს/კ: 205178635) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ამასთან, ნინო კვეტენაძემ დასძინა, რომ კომპანია „კანაპე"-ს დირექტორმა ვახტანგ კანდელაკმა, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს, ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა N14-ში მდებარე უძრავ ქონებას, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქ. თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N2-20-ის მიმდებარედ არსებული, 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ. უძრავი ქონების კომპანია „კანაპე"-სთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კაფის მოწყობის მიზნით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული ქონების გაწკარგვა ღია კაფის მოწყობის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ კი გადაწყვიტა, შპს „კანაპე"-სთვის, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წელი.
- მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიურ საფასურად წარმოდგენილია - 4400 (ათას ოთხასი) ლარი (მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 4320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარით).

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N28-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირისთვის საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, ამასთან დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობამ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარადგინა შუამდგომლობა ვეფხვია ღვალაძისთვის დაინტერესებაში არსებული ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო კვეტენაძემ ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის (ვეფხვია ღვალაძე) გადაცემა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები:

- განკარგულების პროექტის სათაური უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონის კორპუს N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";
- პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს თბილისის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.746.1108 განკარგულების <u>სათაური</u> და ასევე, უნდა

მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე, უნდა მიეთითოს შემდეგი ნორმები:

  საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ: 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის №40.16.786 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოქალაქე მანანა მიქელაძისთვის იჯარის ფორმით გადაცემის საკითხთან დაკავშირებულ არსებულ დოკუმენტში ცვლილების შეთანის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მანანა მიქელაძეს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით. ასევე დაამატა, რომ აღნიშნულმა პირმა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მანანა მიქელაძემ და მოითხოვა იჯარის ფორმით სარგებლობის უფლების ვადის 5 (ხუთი) წლით გახანგრძლივება, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე არსებული იჯარის ფორმით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადა (5 (ხუთი) წელი) არ არის საკმარისი კომპერციული

საქმიანობის ამოქმედებისათვის. ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია იჯარის მოქმედების ვადის გახანგრძლივება (დამატებით) 5 წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

  „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის №40.16.786 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №428 განკარგულების საფუძველზე მიღებულ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის №61.01173179 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ“ .

- პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტი, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი და მიეთითოს №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი;

- ხოლო, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

  “1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ოქტომბრის №40.16.786 განკარგულებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №428 განკარგულების საფუძველზე მიღებული „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) მანანა მიქელაძისთვის (პ/ნ: 01025000727) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის №61.01173179 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის მოქმედების ვადის 5 (ხუთი) წლის ნაცვლად 10 (ათი) წლით შეცვლის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.075.025), ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუციბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულებით თანხმობა მიეცა, ქალაქ თბილისის მთავრობას, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქ. თბილისში, ნუციბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ბენზინგასამართი სადგურებისა და ელექტრომობილების დამმუხტველი/სატუმბი საშუალების განთავსების მიზნით, ხოლო, ამავე განკარგულებით საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრა - 124 000 (ას ოცდაოთხიათასი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ის დირექტორმა მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვერ ახორციელებს მშენებლობის ნებართვის მიღებას, ვინაიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი იმყოფება გამყოფ ზოლში, გამყოფი ზოლი - კონსტრუქციულად გამოყოფილი გზის ელემენტია, რომელიც ყოფს მომიჯნავე სავალ ნაწილებს და არ არის განკუთვნილი მასზე ურელსო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა. ანალოგიურად, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთზეც ვერ ხერხდება შესაბამისი ნებართვის მიღება, რადგან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გადის წყლის/საკანალიზაციო მილი, რისი არსებობის გამოც აღნიშნული მიწის ნაკვეთის 1/3 (ერთი მესამედი) ნაწილის მიზნობრივად ათვისება შეუძლებელია; ზემოაღნიშნული მილის

არსებობის გამო, ავტოგასამართი სადგურის შესასვლელი და გამოსასვლელი გზების მოძრაობის სქემის შეთანხმება ვერ ხერხდება შესაბამის ორგანოსთან, ამასთან, უძრავ ქონებაზე არის 17 (ჩვიდმეტი) ერთეული მწვანე ნარგავი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან ვერ იღებენ არსებული ხე-ნაგებობის გადარგვის ნებართვას.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ კომპანიამ ითხოვა, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, ვადამდე შეწყვეტილ იქნას საიჯარო ქონების სარგებლობის უფლება და ცვლილება შევიდეს იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიურ საფასურში. ასევე, დაამატა, რომ შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ის დირექტორმა კვლავ მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა იჯარის ფორმით გადაცემულ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 2 (ორი) ერთეულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის მიერ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა მათ მიერ მომავალში გადასახდელი საიჯარო ქირის საფასურში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- ქ. თბილისის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში და განკარგულების სათაური და პირველი პუნქტი ყალიბდენა ახალი რედაქციით;
- იცვლება საიჯარო ქირის წლიური საფასური და ნაცვლად 124 000 (ას ოცდაოთხიათასი) ლარისა, განისაზღვრება - 77 710 (სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ათი) ლარის ოდენობით.;
- ასევე, კი, საიჯარო პირობების მე-20 მუხლის 20.5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით;

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ის მიერ გადახდილი N01.19.20.001.108 და N01.17.08.075.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულების ოდენობის, მოიჯარის მიერ მომავალში გადასახდელი საიჯარო ქირის საფასურში ჩათვლის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტად განისაზღვროს N130 განკარგულების მე-2 პუნქტის ცვლილების საკითხი და შესაბამისად, მოხდეს აქტის ხელახალი ნუმერაცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განორციელებას, ასევე დაამატა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოება.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქ. თბილისის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებულ წესში შედის ცვლილება და წესის მე-6 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისათვის, ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენების ფულადი ჯილდოები შემდეგნაირად:

<u>მსოფლიო ჩემპიონატი</u>

ეროვნული

I ადგილი - 7000 ლარი

II ადგილი - 5000 ლარი.

III ადგილი - 3000 ლარი.

ახალგაზრდული

I ადგილი - 6000 ლარი.

II ადგილი - 3000 ლარი.

III ადგილი - 2000 ლარი.

ჭაბუკები

I ადგილი - 3000 ლარი.

II ადგილი - 2000 ლარი.

III ადგილი - 1000 ლარი.

<u>ევროპის ჩემპიონატი</u>

ეროვნული

I ადგილი - 5000 ლარი.
II ადგილი - 3000 ლარი.
III ადგილი - 2000 ლარი.
ახალგაზრდული
I ადგილი - 3000 ლარი.
II ადგილი - 2000 ლარი.
III ადგილი - 1000 ლარი.
ჭაბუკები
I ადგილი - 2000 ლარი.
II ადგილი - 1000 ლარი.
III ადგილი - 500 ლარი
<u>მსოფლიო ჩემპიონატი - არაოლიმპიური სახეობები</u>

ეროვნული
I ადგილი - 3000 ლარი.
II ადგილი - 2500 ლარი.
III ადგილი - 2000 ლარი.

ახალგაზრდული
I ადგილი - 2500 ლარი.
II ადგილი - 2000 ლარი.
III ადგილი - 1500 ლარი.

ჭაბუკები
I ადგილი - 2000 ლარი.
II ადგილი - 1500 ლარი.
III ადგილი - 1000 ლარი.
<u>ევროპის ჩემპიონატი - არაოლიმპიური სახეობები</u>

ეროვნული
I ადგილი - 2500 ლარი.
II ადგილი - 2000 ლარი.
III ადგილი - 1500 ლარი.

ახალგაზრდული
I ადგილი - 2000 ლარი.
II ადგილი - 1500 ლარი.
III ადგილი - 1000 ლარი.

ჭაბუკები

I ადგილი - 1500 ლარი.
II ადგილი - 1000 ლარი.
III ადგილი - 500 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები:

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;**
- პროექტის **პირველ მუხლში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი** და „პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესში" ნაცვლად, მიეთითოს - „პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებულ წესში";
- დადგენილების პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად უნდა მიეთითოს: „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი